№ 164 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი

წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. შაბათი, ივლისის 24 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ზე გვ. 6 მან. სამკლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

ოზურგეთის საუთა გიმნაზიას

მომავალი ენკენ სთვიდან სჭირდება

ექვსი მასწავლებელი

ფილოლოგი—2, მათემატიკოსი—2, რუსული ენის მასწავლებელი—1. გერმანული ენის—1. მსურველთ შეუძლიათ მიმ. რთონ სამინისტროს. 3—1 782

მალე დაიბეჭდება
„ქართული ენის სასწავლებლის მეთოდიკა“

შედგენილი ილია ფერაძის მიერ. წიგნი დაშვებულია სახელმძღვანელოდ სოფლის მასწავლებელთათვის.

782 3—1 დირექტორი ილია ფერაძე.

ოფიციალური განყოფილება

შტატი

1919—1920 წლის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა.

№№ რიგზე.	თანამდებობის სახელწოდება.	თანამდებობის პირთა რიცხვი.	თვიური ჯამაგირი თვითეულს.	წლიური ჯამაგირი თვითეულს.	წლიური ჯამაგირი ყველას.
			მანეთი.		
	25. ბორჯომის ხე-ტყის სახერხი ქარხანა.				
1	ტყის უფროსი გამგე	1	4050	48600	48600
2	ბუხჰალტერი	1	1680	20160	20160
3	მემანქანე (მექანიკი)	1	1500	18000	18000
4	უფროსი მჭედელი	1	1350	16200	16200
5	მოანგარიშე	1	1500	18000	18000
6	უფროსი ნოქარი	1	1575	18900	18900
7	უფროსი დურგალი	1	1550	18600	18600
8	მჭედელი	1	1200	14400	14400
9	დურგალი	1	1400	16800	16800
10	ზეინკალი I კატეგორიისა	4	1400	16800	67200
11	„ II „	1	1300	15600	15600
12	უმცროსი კანტორის მოხელე	3	1300	15600	46800
13	ნოქარი	4	1300	15600	62400
14	მეწისქვილე	1	1150	13800	13800
15	მეტაბელე (მუშების ამწერი)	1	1150	13800	13800
16	კანტორის უფროსი მოხელე	2	1000	12000	24000
17	მეჩაქუჩე (კვერის დამკვრელი)	1	1200	14400	14400
18	დურგლის მოწაფე I კატეგორიისა	1	1000	12000	12000
19	„ „ II „	1	900	10800	10800
20	ზეინკლის შეგირდი I კატეგორიისა	1	1000	12000	12000
21	ხე-ტყის საწყობის დარაჯი	7	1000	12000	84000
22	ზეინკლის შეგირდი II კატეგორიისა	2	900	10800	21600
23	გამთბობი	1	1050	12600	12600
24	ზეინკლის შეგირდი III კატეგორიისა	1	800	9600	9600
25	მეურმე მეფურგუნე	10	1000	12000	120000
26	დურგლის შეგირდი III კატეგორიისა	1	800	9600	9600
27	ხეების (მორების მიმღები)	1	700	8400	8400
	სულ	52	—	—	748260
	26. ახალდაბის ხე-ტყის სახერხი ქარხანა.				
1	ქარხნის გამგის თანაშემწე	1	800	9600	9600
2	კანტორის უფროსი მოხელე	2	1300	15600	31200
3	ფერშალი	1	1150	13800	13800
4	მემანქანე მექანიკი	2	1350	16200	32400
5	კანტორის მოხელე	2	1000	12000	24000
6	უფროსი ნოქარი	2	1575	18900	37800
7	უმცროსი „	2	1300	15600	31200
8	მიმღები	1	1000	12000	12000
9	დურგალი	1	1100	13200	13200
10	მემანქანის თანაშემწე	2	1150	13800	27600
11	გამთბობი	2	1050	12600	25200
12	დარაჯი	4	1000	12000	48000
13	კანტორის შიკრიკი	1	500	6000	6000
	სულ	23	—	—	312000

1920 წ. ივნისის 7-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

განკარგულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

21 ივლისი, 1920 წ., № 221.

დანიშნულ იქნას დროებით სახელმწიფო ქალალდების დამზადებელ ექსპედიციის მოლარის თანაშემწის მოვალეობის აღმასრულებლად ვასილ ანდრიას ძე მჭედლიძე ამა წლის 1 აგვისტოდან.

21 ივლისი, 1920 წ., № 222.

ვუბრძანებ ტფილისის საბაჟოს გამგის თანაშემწეს ვიჩესლავ ნესტორის ძე ალშიბაიას საბაჟოს ნაწილის უფროსის ბ. მ. მიქაძის ქ. ბათომიდან დაბრუნების გამო, დაუბრუნდეს თავის თანამდებობის აღსრულებას ამა 1920 წ. 19 ივლისიდან.

გ. ფინანსთა მინისტრის ნებართვით

1920 წ. ივლისის 24-ს გაიხსნა საბანკო კანტორა

ა. გავისტი

რუსთაველის პროსპექტი № 20. სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. კანტორა აწარმოებს ყოველგვარ საბანკო ოპერაციებს, საპროცენტო ქალალდებს და საზღვარ გარეთ ვალიუტის ყიდვასა და გაყიდვას. 1963 1—1

21 ივლისი, 1920 წ., № 223.

ვინაიდან საბაჟოს ნაწილის უფროსმა ბესარიონ მიხეილის ძე მიქაძემ შეასრულა ქ. ბათუმში ჩემი დავალება და დაბრუნდა იქიდან, ვავალებ მას, რათა დღეიდან, ე. ი. ამა 1920 წლის 19 ივლისიდგან, შეუდგეს თავის თანამდებობის აღსრულებას.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი
ს. ავალიანი.

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს უფროსისა.

1 ივნისი, 1920 წ., № 30.

გამწესებულნი არიან: მოქალაქენი: ალექსანდრე კორძახია და ნინო ცაგარეიშვილი კანცელარიის მოხელეებათ სამმართველოში; ყოფილი მოხელე ალექსანდრე ნარჩემაშვილი მეხუთე ხარისხის მოხელეთ რკინის გზის განყოფილებაში ტფილისის სადგურზე; ყოფილი ფოსტალიონი ალექსანდრე ჯობაძე მეორე კატეგორიის ფოსტალიონათ შორაპნის განყოფილებაში; მოქალაქე მარიამ იაშვილი მეექვსე ხარისხის მოხელეთ გორში; კორძახია და ნარჩემაშვილი 1 ივნისიდან, იაშვილი 3 ივნისიდან, ჯობაძე 6 ივნისიდან და ცაგარეიშვილი 16 ივნისიდან 1920 წ.

დანიშნულნი არიან: ფასანაურის ფოსტალიონი დავით ოგბაიძე ზედამხედველათ დაბალი ჯამაგირისა—მლეთში; სამმართველოს კანცელარიის მოხელე ფრანცისკა მიხაილოვისა სამმართველოს მოანგარიშე მოხელეთ; მეექვსე ხარისხის ვალდებულების აღმასრულებელი ტფილისის კანტორისა თამარა კურტაშვილი რემინგტონისტკათ იმავე კანტორაში; მეხუთე ხარისხის მოხელე ტფილისის კანტორისა სამუილ კოპალიანი და ახალსენაკის მოსე ქადარია ფ-ტ. განყოფილების უფროსებათ: კოპალიანი—აკეთში, ქადარია—ზანაში; ფ-ტ. მოხელეები: დუშეთის მეექვსე ხარისხის კლერკი ეტი ყურუა, სამტრედიის მეექვსე ხარისხის იოსებ კომახიძე და სამსონ ქვანია, ტფილისის ტელეგრაფის კანტორის: მე-2 ხარ. კონსტანტინე ჩოჩია, მესამე ხარ. ბესარიონ ღვინიაშვილი, სიმონ შავლიევი და სიმონ მჭედლიშვილი, მეოთხე ხარ. ვასილ კაშმაძე, იოსებ გაბეხ ძე და მეხუთე ხარ. გერასიმე მალანია ფ-ტ. მოხელეებათ იმავე კანტორებში: ჩოჩია პირველი ხარისხით, ღვინიაშვილი, შავლიევი და მჭედლიშვილი მეორე ხარისხით, კაშმაძე და გაბეხაძე მესამე ხარისხით, მალანია მეოთხე ხარისხით; ყურუა, კომახიძე და ქვანია მეხუთე ხარისხებით; უმცროსი მექანიკოსი ტფილისის ტელეფონის ქსელისა იანის ზუსნე და ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა: ედუარდ იაკობოვი, სიმონ გუშჩინსკი და ალექსანდრე სეხნიევი უფროს მექანიკოსად იმავე დაწესებულებაში; უმცროსი მექანიკოსის ვალდებულების აღმასრულებელნი ტფილისის ტელეფონის ქსელისა: ივანე სერბინი და თეოფანე პროკოპენკო უმცროს მექანიკოსად მაღალი ჯამაგირით იმავე ქსელზე; უმცროსი მექანიკოსები დაბალი ჯამაგირისა ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა ნიკოლოზ ჩერნიშევი და ეგნატე ღლონტი უმცროს მექანიკოსად მაღალი ჯამაგირით იმავე კანტორაში; უმცროსი მექანიკოსის დაბალი ჯამაგირით, ვალდებულების აღმასრულებელი ტფილისის კანტორისა არშაკ დიდზურაბოვი უმცროს მექანიკოსად დაბალი ჯამაგირით იმავე კანტორაში; გორის ზედამხედველი ივანე აფციაური და ტფილისის ტელეგრაფის კანტორის ზედამხედველები: მარმალოვიჩი, გომელაური და ჩიხლაძე უმცროს მექანიკოსის თანამდებობის აღმასრულებლათ: აფციაური—გორში, მარმალოვიჩი, გომელაური და ჩიხლაძე ტფილისის სამოქალაქო ტელეფონის ქსელზედ. ზედამხედველები დაბალი ჯამაგირისა ტფილისის საქალაქთაშორისო ქსელისა—დავით წიგნაძე, ბელაგორის—მოსე ებანოიძე, ლანჩხუთის—გრიგოლ ხოფერია, ქუთაისის—ნოე ქუთათელაძე, თელავის—პლატონ ვალიცკი; ტფილისის ტელეფონის ქსელის—იოგან ნიმმი, ტფილისის ტელეგრაფის კანტორის: სილიბისტრო ჭელიძე, იოსებ არაბაშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე და ნიკოლოზ სობჩაკი ზედამხედველებათ მაღალი ჯამაგირით: წიგნაძე—საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელზე; ებანოიძე—ბელაგორში, ხოფერია—ლანჩხუთში, ვალიცკი—თელავში, ქუთათელაძე—ქუთაისის სამოქალაქო ტელეფონის ქსელზე ნიმი, ჭელიძე, არაბაშვილი და ტაბატაძე ტფილისის სამოქალაქო ტელეფონის ქსელზე და სობჩაკი ტფილისის ცენტრალურ ტელეგრაფის კანტორაში; ოგბაიძე 3 ივნისიდან, ყურუა, ჩოჩია, ღვინიაშვილი, შავლიევი, მჭედლიშვილი, კაშმაძე, გაბეხაძე 6 ივნისიდან, დანარჩენნი 1920 წლის პირველ ივნისიდან.

გადაყვანილნი არიან: უფროსი მექანიკოსები: სოხუმის კანტორისა პლატონ კალანდარიშვილი, ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა გიორგი ვეშაპიძე, უმცროსი მექანიკოსი ტფილისის კანტორისა სერგო კარამურზა, ზედამხედველები მაღალი ჯამაგირისა ტფილისის კანტორისა: იოსებ დემეროვი, ნიკიფორე ბარამიძე, ზედამხედველები დაბალი ჯამაგირისა ტფილისის ტელეფონის ქსელისა აბესალომ ჩიტია და ფოთის კანტორის ივანე ცომაია და ფოსტალიონები: ჭიათურის—გიორგი რეკვავა, სურამის—აკაკი ჩეჩელაშვილი, გუდაუთის—ილია ჩიკვაიძე, ბორჯომის—ივანე ტომაშვილი და ტფილისის ფოსტის კანტორის გიორგი ტაბიძე იმავე წოდებებით: კალანდარიშვილი, ვეშაპიძე, კარამურზა, ბარამიძე და დემეროვი ტფილისის სამოქალაქო ტელეფონის ქსელზე. ჩიტია—აბაშაში, რეკვავა—გუდაუთში, ჩეჩელაშვილი—ბორჯომში—ჩიკვაიძე—ჭიათურაში, ტომაშვილი=სურამში, ტაბიძე—ტფილისის რკინის გზის განყოფილებაში, ცომაია—ნაქალაქევში, ყველა 1920 წლის პირველ ივნისიდან, ხოლო რეკვავა, ჩეჩელაშვილი, ჩიკვაიძე, ტომაშვილი და ტაბიძე თანახმად თხოვნებისა.

დაინიშნა: სამმართველოს შტატში მყოფი უმცროსი მექანიკოსის თანამდებობის აღმასრულებლათ ივანე კოლელიშვილი უმცროს მექანიკოსად მაღალი ჯამაგირით იმავე სამმართველოში 1 ივნისიდან 1920 წლისა.

განთავისუფლებულია: მექანიკოსის ვალდებულების აღსრულებისაგან ზედამხედველი ტფილისის ტელეფონის ქსელისა ვასილი გალუსტოვი 1920 წლის 1 ივნისიდან და ამავე რიცხვოდან ზემოაღნიშნულ თანამდებობის ჯამაგირის მიღების მოსპობით.

დათხოვილნი არიან სამსახურიდან: გაგრის ფოსტალიონი პავლე ოლეინიკი, ზედამხედველი დაბალი ჯამაგირისა ცაგერის განყოფილებისა იაკობ სუვოროვი და მესამე ხა-

რისხის მოხელე გაგრის კანტორისა ანტონ სედაკი დანიშნულებისამებრ წასვლაზე უარის თქმისათვის: ოლეინიკი და სედაკი 1 ივნისიდან და სუვოროვი 6 ივნისიდან 1920 წლისა.

გამორიცხულია მოსამსახურეთა სიიდან: დუშეთის კანტორის ზედამხედველი დაბალი ჯამაგირისა იოსებ შოთაშვილი ტფილისის ტელეფონის ქსელზე მეორე კატეგორიის მუშათ დანიშვნის გამო 1920 წლის ივნისის პირველიდან.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

დამტკიცება

საქართველოს სახელმწიფო ბანკის გამგეობის წევრისა.

დამფუძნებელმა კრებამ ამა 1920 წლის ივლისის 20-ს სხდომაზე, საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდების 91 მუხ. თანახმად,—დაამტკიცა ზემოხსენებული ბანკის გამგეობის მეორე წევრის თანამდებობაზე სამსონ დავითის ძე კილაძე.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

ვაზის ავადმყოფობა კახეთში.

ტფილისში დაბრუნდა სასოფლო მეურნეობისა და სახელმწიფო მამულების ინსპექტორი ევროვი, რომელმაც დაათვალიერა წინანდალისა თა მუკუზანის რაიონები. ევროვმა განაცხადა, ხშირი წვიმების გამო ამ რაიონების ვენახებში ვაზის ავათმყოფობა გავრცელდა. ავათმყოფობა უფრო გლეხებისა და კერძო მესაკუთრეთა ვენახებშია გავრცელებული. სახელმწიფო მამულები უკეთეს მდგომარეობაშია. თავის დროზე მიღებულ ზომების გამო მათ ავათმყოფობა სულ არ ემჩნევა. კარგი ვენახებია ველისციხესა და კარდანახში.

მადნეული წყლების გამოკვლევა.

მიწად-მოქმ. სამ. თხოვნით სამთო-სამართვ. მადნეული წყლების გამოსარკვევად კახეთში გაგზავნა ინჟ. და მკვლევარი დ. კონიუშევსკი. მასთან გაემგზავრენ მიწ. მოქმ. სამინ. წარმომადგენლები. ამის შემდეგ სამთო სამმართვ. კომისიას მადნეული წყლების გამოსაკვლევად გაგზავნეს ბორჯომ-აბასთუმანსა და ახალციხე-ახალქალაქს.

დამფუძნებელი კრება

22 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

დეკრეტი სამონოპოლიო საქონლის მწარმოებელთათვის ასი მილიონი (100000000) მანეთის სესხის მიცემისა.

ბ. თევზაია (საბიუჯეტო საფინანსო კომ.). ამ დეკრეტის თანახმათ 100 მილ. მანეთი უნდა მიეცეს მთავრობას სამონოპოლიო საქონელზე მწარმოებელთათვის სესხის მისაცემათ. რამოდენიმე ათი ათასი ფუთი თამბაქო უკვე მთავრობაა განკარგულებაში არის. ამასთანავე ყურადსაღებია, ის ფაქტი, რომ დაარსდა მეთამბაქოეთა კოოპერატივი და ამით სახელმწიფოს საშუალება ეძლევა პირდაპირი კავშირი დაიჭიროს მწარმოებელთან და ზოგიერთი ზედმეტი შუამავლები ჩამოიცალოს.

თამბაქოს ფასი დაეცა საერთაშორისო ბაზარზე, ეს მოხდა იმ მიზეზით, რომ ევროპაში საერთოდ ეცემა ფასები ყველა საქონელზე და ამასთანავე ნოვოროსიიდან დიდი ძალი საქონელი გაეტანესბაზარზე მოხალისეებმა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი წრეები ევროპაშიაც იყვნენ ჩვენი მონოპოლიის წინააღმდეგნი. რაც შეეხება თამბაქოს კულტურის სივრცეს, ის შემცირდა და ამის ერთი მიზეზთაგანი არის ფრონტის მდგომარეობა გაგრაში. მეორეს მხრივ უცხოელებმა მიატოვეს წარმოება და განსაკუთრებით ბერძნები გადასახლდნენ სოხუმიდან. უნდა მიღებულ იქნას ყოველივე ზომა კულტურის ასაყვავებლათ და ეს თანხა, რომელიც შედარებით მცირეა უნდა იქნეს გაღებული მწარმოებლებისათვის სესხის მისაცემად.

ივ. ლორთქიფანიძე (ს. რ.). მონოპოლიის წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ იმდენი დეფექტები სდევს ამ მონოპოლიის განხორციელებას, რომ არ შეგვიძლიან ამას ყურადღებით არ მოვეპყრათ. გატანილ იქნა უცხოეთის ბაზარზე თამბაქო, მაგრამ ყურადღება სრულიადაც არ მიაქციეს იმას, თუ სად რანაირი ხარისხის თამბაქოს მოთხოვნილება იყო. მაგალითად ლონდონში წაიღეს დაბალი ღირსების თამბაქო იქ კი ამის მოთხოვნილება არ არის, როტერდამში წაღებულ იქნა მაღალი ღირსების თამბაქო, პირიქით საჭირო იყო დაბალი ხარისხის თამბაქოს წაღები იქ.

თამბაქოს მონოპოლიის განხორციელების საქმე ჩაბარებული აქვთ ისეთ პირებს, რომელთაც არავითარი წარმოდგენა არ აქვთ თამბაქოს ოპერაციებზე.

თამბაქოს კულტურის საქმე მიწად-მოქმედების სამინისტროს ხელში უნდა იყოს, შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ თამბაქოს კულტურა ისე ეცემა, რომ თუ ამას სერიოზიული ყურადღებაარ მიექცა თამბაქოს წარმოება სრულიად განადგურდება.

ალ. ასათიანი (ნ. დ.). მონოპოლიის გამოცხადების დროს ისეთი მდგომარეობა იყო, რომ ყველა მომხრე იყო მისი. იმ დროს ჩვენი ერის სიმდიდრე უცხოელთა ხელში ვარდებოდა და მონოპოლიის გზით შესაძლებელი იყო ეროვნულ სიმდიდრის შერჩენა. მონოპოლია გავრცელებულ იქნა არა მარტო საგაოეო ბაზარზე, არამედ ადგილობრივად დამუშავებასაც შეეხენ; მოინდომეს მთელი ამ სამეურნეო დარგის გასახელმწიფოებრიობა. შემდეგ ორატორი ეხება მთავრობის რწმუნებულის მოქმედებას, რომელიც იქცეოდა არა როგორც კანონის გამტარებელი, არამედ როგორც უპასუხისმგებლო პირიო. თანახმად კანონისა სამონოპოლიო საქონელი უნდა ყოფილიყო აღწერილი, ყიასოვმა კი საქონელი ჩამოართვა პატრონთ და არც ანგარიშები გაუსწორა ხალხს, პირიქით ბევრი მწარმოებელთაგანი ციხეში ჩასვა. დეკრეტს არავინ არ ამხედრებია. აუჯანყდენ გადამეტებულ ზომებს. თამბაქო გაიგზავნა გემებით ევროპაში, მაგრამ იქ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ მისი გასაღება ძნელი შეიქნა. ევროპაში დიდი შიმშილობა იყო თამბაქოსი და თუ ჩვენ თამბაქოს ფასი არ აქვს იქ, ამის მიზეზი არა ომიდან დაბრუნება არის, არამედ ის რომ თამბაქო გაიგზავნა არეულად, იგი ხარისხებად არ იყო დაყოფილი, რასაც მთავარი მნიშვნელობა აქვს.

თამბაქოს წესიერი რეალიზაციით ჩვენ უნდა უზრუნველგვეყო თავი ხორბლით და შაქრით. თამბაქო თუ ნაკლები ითესება ეხლა, ამის მიზეზი არის ის, რომ მისი პატრონნი ხელსაყრელ პირობებში ვერ ახდენს მის რეალიზაციას. საჭიროა ყურადღება იქნას მიქცეული, რომ ეს უდიდესი დარგი ჩვენი მეურნეობისა არ შემცირდეს.

ივ. ჭავჭანიძე (მომარ. მინისტრის ამხანაგი) ბატონებო! დამფუძნებელ კრების წევრნო ბ-ნა ლორთქიფანიძემ და ა. ასათიანმა ისარგებლეს წარმოდგენილ დეკრეტით, რათა აღენიშნათ მომარაგების სამინისტროს მიერ დაშვებული ზოგიერთი დეფექტები როგორც პირველი ისე მეორე ამტკიცებს რომ თამბაქოს მონოპოლიის გატარების საქმეს სათავეში უდგანან ამ საქმის სრულიად უცოდინარნი, უვიცნი პირნი. ამ მიზეზით ერთის მხრით იღუპება თამბაქოს კულტურა ჩვენში მეორეს მხრივ კი დაიღუპა ჩვენი თამბაქოს საქმე ევროპის ბაზარზე. ეს რომ მართლა ასე იყოს, მაშინ აქ უნდა გველაპარაკა არა „ზოგიერთ დეფექტებზე“ და ამ „დეფექტების დაუყონებლივ გასწორებაზე, როგორც ეს განაცხადა ბ-ნმა ლორთქიფანიძემ, არამედ ჩვენს წინ უფრო დიდი საკითხი დგებოდა: მომარაგების სამინისტროს დამღუპველ პოლიტიკის რადიკალურათ შეცვლა. მაგრამ საბედნიეროთ საქმე ასე ცუდათ არ არის. ბ-ნი ლორთქიფანიძე აცხადებს რომ ის პირი, რომელიც ყიასიშვილის შემდეგ დარჩა სოხუმში სამინისტროს რწმუნებულათ, სრულიად უვიცია თამბაქოს საქმეში, ეს არ არის მართალი სამინისტროს რწმუნებული ბ-ნი ცხაკაია, რომელსაც დამფუძნებელ კრების წევრი ლორთქიფანიძე გულისხმობდა, მხოლოდ განმკარგულებელია. მას ყავს სპეციალისტები, რომლებიც საქმის პრაქტიკულათ გამკეთებელნი არიან. ბევრი თქვენგანი ალბათ კარგათ იცნობს სოხუმელ გამოჩენილ მეთამბაქოვეს ბ-ნ გოკიელოვს: ეს უკანასკნელი სოხუმის ოლქის თამბაქოს პირველი ექსპორტიორია. ყველა დამეთანხმებით რომ ბ-ნი გოკიელოვი თამბაქოს საქმის დიდი მცოდნეა. აი სწორედ ეს გოკიელოვი გვყავს მოწვეული სხვა სპეციალისტებთან ერთად, გოკიელოვი უკლის და პატრონობს ჩვენს თამბაქოს. აქედან ნათლად სჩანს, რომ თამბაქოს მონოპოლიის საქმე უვიციების ხელში არ ყოფილა. აქ ამტკიცებენ რომ თამბაქოს კულტურა იღუპებოო. თურმე უყურადღებოთ ყოფილა მიტო.ებული საცდელი მინდორი, სადგური და სხვა.

არც ეს არის მართალი. როგორც მომარაგების სამინისტრო, ისე მიწათ-მოქმედებისაც ჯეროვან ყურადღებასაც აქცევენ თამბაქოს კულტურას. მიწათ-მოქმედების სამინისტრო თავის მხრივ ყოველივე ზომებს იღებს, რაც კი მისგან არის დამოკიდებული, აკეთებს კიდეც თამბაქოს, კულტურის გასავრცელებლათ და განსავითარებლათ. ჩვენ გვისაყვედურებენ იმას, რომ თამბაქოს ჭია გაუჩნდა. მაგრამ ნუთუ ამაში მომარაგების სამინისტროს მიუძღვის ბრალი? თქვენ მოგეხსენებათ, რომ თამბაქოს პალნტაციებით მდიდარია კუბა, სოხუმზე უწინ გაუჩნდა თამბაქოს ჭია და დიდი ზარალიც მიაყენა. მაგრამ იქაც ხომ ჩვენი მთავრობა და მომარაგების სამინისტრო არ ყოფილა. სოხუმის საწყობი იტევს სულ 300.000 ფუთამდე თამბაქოს, ხოლო ომიანობის გამო სოხუმში თითქმის ერთი მილიონ ფუთამდე თამბაქო დაგროვდა. ამდენი თამბაქოსათვის კი არ მოიძებნება შესაფერი საწყობები: ამის გამო ზედმეტი თამბაქოს ნაწილი ძველ საწყობს მოუმატეს, ნაწილიც შეუფერებელ საწყობებში მოათავსეს და აი სწოდეთ ამ მიზეზით გაუჩნდა თამბაქოს ავათმყოფობა. მიწათ-მოქმედების სამინისტრო უკვე შეუდგა ამ ავათმყოფობის შესწავლას. ზოგი საბრძოლველი ნაბიჯიც გადადგა და იმედი გვაქვს რომ ზომები მიზანს მიაღწევენ

ბ-ნმა ასათიანმა დღეს აქ გაიმეორა ის ბრალდებები, რომელნიც ამ რამდენიმე თვის წინათ წამოაყენა ვეშაპელმა შეკითხვის სახით. შეკითხვის გარჩევის დროს მე ამ ტრიბუნიდან უპასუხე შემკითხველს ყველა წამოყენებულ ბრალდებებზე და დამფუძნებელ კრებამაც დამაკმაყოფილებლად იცნო ჩემი პასუხი. მე ზედმეტათ მიმაჩნია ერთხელ გაბათილებულ ბრალდებებზე ხელმეორეთ ლაპარაკი და ამიტომ არას ვიტყვი მათ შესახებ, მაგრამ არ შეშიძლია უპასუხოთ დავტოვო ის ახალი ბრალდება, რომელიც დღეს წამოაწენეს აქ.

ორივე ორატორი მომარაგების სამინისტროს ამტყუნებს იმაში, რომ ევროპის ბაზარზე თამბაქოს ფასი დაეცა. მომხსენებელმა თევზაიამ სისწორით აღნიშნა თამბაქოს ფასების დაცემის მიზეზები. რა თქმა უნდა, ბაზრის ფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თამბაქოს სპეციფიკაციას, მის ხარისხებად წესიერად დანაწილებას, მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ბაზრის შერჩევასაც, მართალია ისიც რომ თამბაქოები, რომელიც საქართველოდან გაიგზავნა არ აკმაყოფილებდა ზევით აღნიშნულ მოთხოვნილებებს, მაგრამ ისიც მართალია, რომ ეს არ არის თამბაქოზე ფასის დაცემის უმთავრესი მიზეზი. ფასები დაეცა არა მარტო საქართველოდან გაგზავნილ თამბაქოზე, არამედ საერთოდ ყველა ქვეყნის თამბაქოზე. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ევროპის ბაზარზე დიდი ძალი თამბაქო მოზიდეს სხვა და სხვა ქვეყნებიდან. გუშინ მივიღეთ ბარათი ჩვენ ფინანსთა მინისტრ კანდელაკისაგან: უკანასკნელი გვწერს: „თამბაქოს ფასები ძალიან დაცემულია, რადგან ბაზარი სავსეა თამბაქოთი, განსაკუთრებით ბევრია ყირიმის თამბაქო“. მოხალისეთა ჯარების განადგურების შემდეგ დამარცხებულმა გენერლებმა ყირიმში დაიტაცეს თამბაქო და გაეშურენ ევროპისაკენ. გადმოგვცემენ, რომ მარტო გენერალმა შკურომ ორასი ათასი ფუთი თამბაქო წაიღოვო. ამას გარდა თამბაქო მიდის ეიროპაში მაკედონიიდან, ოსმალეთიდან და მრავალი სხვა ადგილებიდან. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც რომ წინათ ინგლისში სრულიად აკრძალულ იყო თამბაქოს თესვა. 1917 თუ 1918 წელში ინგლისმა ნება დართო თამბაქოს კულტურის წარმოების თავის მოქალაქეთ: ამნაირათ ინგლისს თავისი თამბაქოც აქვს თავის მოთხოვნილების ერთი ნაწილის დასაკმაყოფილებლათ, აქედან თქვენ ხედავთ, რომ ევროპა მარტო ჩვენი თამბაქოს ამარა არ ყოფილა დარჩენილი. ამგვარათ თამბაქოს ფასები დასცა არა იმან, რომ საქართველოდან გატანილი თამბაქო არ იყო შესაფერისათ შერჩეული და კარგად მოვლილი, არამედ იმან, რომ ევროპის მაზრაზე თამბაქოს მიწოდებამ ბევრათ გადააჭარბა მის მოთხოვნილებას, მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ისიც, რომ ევროპაში ამ ბოლო თვეებში დაეცა არა მარტო თამბაქოს ფასები, არამედ ყოველნაირი საქონლის,—როგორც ნედლი მასალის, აგრეთვე ფაბრიკატებისა: ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპა დაადგა ნორმალურ კალაპოტის ჩადგომის გზას.

აი, ბატონებო, ნამდვილი მიზეზები თამბაქოს ფასების დაცემისა და არა ის, რაც მოგახსენათ დამფუძნებელ კრების წევრებმა ლორთქიფანიძემ და ასათიანმა, ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მომარაგების სამინისტროის არც ისე ბევრი თამბაქო გაუტანია, რომ ბაზარი გაეფუჭებია. მომარაგების სამინისტრომ ერთი პარტია თამბაქო გაიტანა „კოსმოსთან“ ერთად, „კოსმოსიდან“ თქვენც მოგეხსენებათ, დიდძალი საქონელი მივიღეთ ნისიათ და თამბაქოც ამ მიღებულ საქონლის უზრუნველსაყოფათ გავგზავნეთ; მაგრამ, როდესაც ცნობა მივიღეთ, რომ ამ ფირმის მდგომარეობა შეირყა, ჩვენ გატანილი თამბაქო ფირმას შევახსენით (სრულ საკუთრებათ) ჩვენ სრულიად მივიღეთ ამ ფირმიდან, რაც გვერგებოდა მეორე პარტია—25000 ფუთი გავიტანეთ ავგერინოსთან ერთად, რომ სამაგიერო ფქვილი შეგვეძინა და შემოგვეტანა მესამე პარტია—34000 ფუთი ეხლა იგზავნება, ეგ უკანასკნელი ჩვენ ბანკში გვაქვს დაგირავებული; ფუთზედ ორი გირვანქა სტერლინგი უკვე გვაქვს მიღებული და იძულებული ვართ ბანკის მოთხოვნით გავიტანოთ.

აქვე უნდა დავუმატო შემდეგი: ყველა ჩვენ მიერ გატანილი თამბაქო ხარისხებათ დანაწილებული და გასატანათ დამზადებული იყო იმ „სკუპშჩიკების“ მიერ, რომლებიც ბ. ასათიანს დიდ სპეციალისტებათ მიაჩნია და რომლებსაც იგი ხშირათ იცავს ამ ტრიბუნიდან, აშკარაა, რომ აქ არაფერ შუაშია სამინისტროს მოხმლეების უვიცობა.

მე ვფიქრობ, რომ ყველა ზემოხსენებულის შემდეგ ნათლათ უნდა სჩანდეს უსაფუძვლობა იმ „დეფექტების“ და საყვედურების, რომლებიც ამ ტრიბუნიდან წარმოთქვა მომარაგების სამინისტროს მისამართით. მე სრულიადაც არ მინდა ვსთქვა. რომ მომარაგების სამინისტროს მოღვაწეობაში არავითარი დეფექტი არ იყოს. რა თქმა უნდა, არის ზოგიერთი დეფექტები, მაგრამ განა შეიძლება ისე გაკეთო დიდი და ახალი საქმე, რომ არც ერთ დეფექტს ადგილი არ ექნეს? მე ვფიქრობ, რომ ეგ შეუძლებელია. მონოპოლია ჩვენში ახალი საქმეა და მისი ცხოვრებაში გატარება მოითხოვს, როგორც დიდ ენერგიასა და საქმის ცოდნას, ისე დიდ თანხას დღევანდელი დეკრეტით გამოთხოვილი თანხა აუცილებლათ საჭიროა მონოპოლიის ცხოვრებაში გასატარებლათ და მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მიიღებთ ამ დეკრეტს.

(დასასრული ხვალ).

სამთო სამმართველოში

ტფილისში დასავლეთ ევროპიდან წამოვიდენ იტალიისა და ბელგიის მსხვილ სამრეწველო ფირმათა წარმომადგენლები—ფრანსუა როდრიგერი—იტალიის სამთო ინჟენერი. მათ ივლ. 22 ინახულეს სამთო მადნო სამართვ. უფროსი ინჟ. ყიფშიძე, იტალიისა და ბელგიის მრეწველთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი მეტად დაინტერესებულნი არიან საქართველოს მადნეულობით და უმთავრესად ქვა ნახშირისა და სპილენძის მადნეულობით და ნავთის წყაროებით. მათ განაცხადეს. რომ ისინი არიან წარმომადგენელნი მეტად დიდ ფინანსიურ და სამრეწველო დაწესებულებათა და რომ მათ შეუძიათ ხელშეკრულობის დადება. სამთო-მადნო სამაართვ. უფროსმა გააცნო მათ რესპუბლიკის კანონები მადნეულობის, მისი ნაციონალიზაციის და მუშათა საკითხის შესახებ. მადნეულობას შესახებ ინჟ. ყიფშიძემ საერთოდ დაახასიათა რესპუბლიკის ადგილები, სადაც არის ნახშირი, სპილენძი. ნავთი და სავ. სამთამადნო განყოფ. უფროსის განცხადებამ მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა როდრიგერსა და როდრიგეზე.

სასინჯადო ზედამხედველობა.

სამთო-მადნო სამართველოში აღძრულია საკითხი მთელ საქართველოში და აგრეთვე ბათომში სასინჯადო ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ. ამის გამო სამთო სამართველომ სამხედრო უწყების წინაშე აღძრა შუამდგომლობა სპეციალისტ მსინჯავთა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

მიმართვა საერთაშორისო პროფს. ქავშ. გიურუსადმი

ორი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც საქართველო რუსეთს ჩამოშორდა. ეს ისტორიული ფაქტი არ აიხსნება ჩვენი ქვეყნის ვიწრო ეროვნული მისწრაფებით. საქართველოს მუშათა კლასი ყოველთვის შორს იყო ამისთანა მისწრაფებისაგან. ის იდგა საერთაშორისო დროშის ქვეშ, რუსეთის განაპირა ერებმა რევოლიუციის პირველ დღეებშივე დაიწყეს ბრძოლა გამოცალკევებისათვის. საქართველო შეადგენდა იმ დროს ერ-

ადერთ გამონაკლისს. ის არ ფიქრობდა რევოლიუციონური რუსეთისგან გამოყოფ ს. ეს გამოყოფა აუცილებელი შეიქნა ჩვენთვ ს ბრესტ-ლიტოვსკში ხელმოწერილი ზავის შემდეგ. რუსეთის ჯარი ამ ზავის ძალით იარაღს ჭყრიდა, სამშობლოში ბრუნდებოდა. ამიერკავკასიის ფრონტი იცლებოდა და განმარტოებული საქართველო ოსმალეთის იმპერიალისტების წინაშე თავის ამარად რჩებოდა. ის თითონ უნდა გამოსულიყო ბრძოლის ველზე თავისი ფიზიკური არსებობისათვის. ჩვენი დამოუკიდებლობა მოხდა ჩვენი სურვილის დამოუკიდებლად. ამ ფაქტის წინ ჩვენ დაგვაყენა მაშინდელმა რუსეთის მთავრობამ, მისმა დამარღვეველმა სახელმწიფოებრივმა პოლიტიკამ.

რუსეთთან დაბრუნება აღარ შეეძლო საქართველოს მაშინ, როდესაც რუსეთი მიადგა საშინელ ანარქიის უფსკრულს. როგორც რუსეთის ნაწილი, ჩვენ ვერ ავცდებოდით იმ სამოქალაქო ომს, რომელმაც ნანგრევებათ გადააქცია ის დიდი ქვეყანა და ამ ნანგრევებში ჩაიტანა რევოლიუციით შენაძენი თავისუფლებანი. ამ შენაძენის გადასარჩენათ, ერის და მუშათა კლასის თავდასაცველათ ჩვენ უნდა დავრჩენილიყავით ნეიტრალურ ასპარეზზე. არ უნდა მოვქცეულიყავით არც ერთ მეომარ ბანაკში. ეს კი შესაძლებელი გახდა მხოლოდ რუსეთის საზღვრებს გარეშე

ეროვნული დროშა აიმართა საქართველოში მუშათა კლასის, მუშათა დემოკრატიის ხელით. მუშათა კლასი უდგას სათავეში იმ დიდ საქმეს, რომელსაც მოითხოვს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა.

ეროვნული დამოუკიდებლობა არ ყოფილა და არ არის ჩვენთვის თვით მიზანი. ამ მიზისთვის ჩვენ არ შევვიწირავს არც ერთი სოციალისტური, არც ერთი დემოკრატიული პრინციპი. პირიქით, თანამედროვე პირობებში ეს იყო საუკეთესო იარაღი, რომელითაც ჩვენ ვსარგებლობდით ამ პრინციპების გასამტკიცებლათ.

ეროვნული დამოუკიდებლობის ფარგლებში ჩვენ ვქმნით საერთაშორისო სოციალიზმის ეკონომიურ პოლიტიკურ პირობებს.

მუშათა კლასის წარმომადგენლები შეადგენენ დიდ უმრავლესობას საყოველთაო პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით. დამფუძნებელ კრებაში 130 წევრია და ამ რიცხვიდან 10 ადგილი ეკუთვნის გლეხობის დეპუტატებს.

ამ დამუძნებელ კრებასთან და სოციალ-დემოკრატულ პარტიასთან თანამშრომლობით საქართველოს მუშათა კლასი ატარებს საზოგადოებრივ რეფორმებს სოციალისტური წესწყობილების დასამყარებლათ. უმამულო და მცირე მამულიან გლეხებს გადაეცათ მსხვილი მესაკუთრეებისაგან ჩამორთმეული მიწები. დემოკრატიული სახელმწიფოს ხელში გადავიდა ტყეები და მთამადნეულობა, რკინის გზები მსხვილი მამულები, სამკურნალო წყლები სხვა. ამავე მიზნით ეწყობა სახელმწიფოს, ქალაქთა, ერობათა, თემთა და კოოპერატივთა მიერ ახალ-ახალი საწარმოო დარგები. კერძო ინიციატივას კი ასპარეზი ეძლევა იმდენათ, რამდენათაც ის ემსახურება საზოგადო მეურნეობის აღორძინებას.

მუშათა კლასი პროფესიონალური კავშირების ხელმძღვანელობით ერთმანეთს უთანხმებს კლასობრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას და საწარმოო ძალების განვითარებას. პროფეს. კავშირების აქტიური მონაწილეობით იქმნება შრომის პირობების გასაუმჯობესებელი ახალი კანონმდებლობა. იგივე მუშათა ორგანიზაციები მონაწილეობას იღებენ იმ ზედამხედველობაში, რომელიც საჭიროა ამ კანონმდებლობის სინამდვილეში გასატარებლათ. ნორმალურ სამუშაო დღეთ ჩვენი კონსტიტუციის ძალით უკვე აღიარებულია 8 და კვირაში 42 საათი.

საქართველოში განხორციელებულია მუშათა კლასის დიქტატურა და ამ დიქტატურას სარჩულათ უდევს თავიდან ბოლომდის გატარებული დემოკრატიზმი. უხალხოთ, ხალხის წინაშე უპასუხისმგებლოთ ჩვენში არ კეთდება არაფერი. აქ სავსებით დაცულია სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების თავისუფლება, სრული მოქალაქეობრივი თავისუფლებით ვერ სარგებლობენ მარტო ძველი, თვითმპყრობელ რუსეთის მოტრფიალე ჯგუფები. აქ ყოველივე გავლენას მოკლებული ბოლშევიკური პარტია. ამ პარტიის ხელმძღვანელები სრულიად არ უწევენ ანგარიშს რუსეთ-ადერბეიჯანთან ჩამოგდებულ ზავს და შეურიგებლად უყურებენ საქართველოს დამოუკიდებლობას, თუმცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა და საბჭოთა რუსეთმაც იცნეს ფაქტიურათ ეს დამოუკიდებლობა.

ადგილობრივი ბოლშევიკები საზავო ხელშეკრულებას აღიარებენ მხოლოდ ქაღალდზე, საქმით კი ამზადებენ ისევ სამოქალაქო ომს და სისხლის ღვრას. თავისი გაზეთების ფურცლებზე ისინი ათავსებენ განგებ შეთხზულ ცნობებს. ქმნიან საქართველოს რესპუბლიკის გარშემო მტრულ განწყობილებას.

ბოლშევიკების ამნაირ საქმიანობაში მთავარი ალაგი უჭირავს პროვოკაციას. ივნისის დამლევს, მაგალითად ბაქოს კომუნისტურ გაზეთში მოთავსებული იყო მოგონილი დეპეშა, რომლისგანაც სჩანდა, რომ ვითომ ტფილისში 27 მაისს მოხდა მუშათა მიტინგი და ვითომ რესპუბლიკის ჯარი შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ტყვიით შეხვდა ამ მიტინგს.

(გაგრძელება ხვალ).

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

ხალხთა ლიგის მოწოდება

ხალხთა ლიგამ ყველა მთავრობას მოწოდებით მიმართა, მიიღო ყოველგვარი, ზომები ტიფის საწინააღმდეგოთ საბრძოლველად განსაკუთრებით პოლონეთში და მის მოსაზღვრე ქვეყნებში.

ამერიკა და რუსეთი

„დეილი-ექსპრესი" იტყობინება, რომ თანახმად ნიუ-იორკიდან მოსულ უკანასკნელ ცნობებისა მოსკოვის მთავრობის წარმომადგენელმა კანადას დიდძალი რკინის გზის მასალები შეუკვეთა. კანადის მთავრობამ ნება დართო ამ მასალების გატანისა შეუზღუდვლად მაგრამ თავის თავზე იგი არავითარ პასუხის მგებლობას არ ღებულობს.

ხალხთა ლიგის საბჭოს დაარსება

„დეილი ტელეგრაფი" ხალხთა ლიგის საბჭოს დაარსების შესახებ იუწყება: საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ბალფური, საბჭოს წევრებათ: ლორდ კერზონი, შამბერდენი, ფიშერი და სხ.

ჩიჩერინი და მუსტაფა ქემალი

„ეურნალ დედება" იუწყება: ჩიჩერინმა მუსტაფა ქემალს მიმართა ნოტით, რომელშიაც წინადადებას აძლევს მას, რომ მან უკხო იმპერიალიზმს, რომელიც ოსმალეთსა და რუსეთს ემუქრება, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს. იგივე გაზეთი იტყობინება, რომ რუსეთსა და ქემალისტებს შორის სავაჭრო დამოკიდებულება თანდათან ნორმალურ ხასიათს იღებსო.

ხელშეკრულება ფულის შესახებ

„ეურნალ ოფიციელი" იუწყება, რომ საფრანგეთს, ბელგიის, შვეიცარიის, იტალიის და საბერძნეთს შორის დადებულია ხელშეკრულება ფულის შესახებ.

საფრანგეთში

გარეშე საქმეთა სამინისტროში თათბირი შესდგა მესამე რესპუბლიკის 50 წლის თავის აღსანიშნავად დღესასწაულის პროგრამის შესამუშავებლად. ამ დღისათვის სხვათა შორის დანიშნულია პანთეონში გამბეტის გულის გადასვენება.

ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.

„ტაიმსი" ბეჭდავს ცნობებს სტოკჰოლმის კორესპონდენტისას, რომელსაც შემთხვევა ჰქონია ესაუბრა ბრიტანეთის დელეგაციის ორ წევრთან, რომლებმაც რუსეთი ინახულეს. დელეგაციის მესამე წევრი კლიფორდ ალენი ავათ გახდა და რეველის საავადმყოფოში დარჩა. დელეგაციის ორივე წევრმა—გუსტმა და სნოულენმა—განაცხადა, რომ ისინი ჯერჯერობით თავს იკავებენ თავის მოგზაურობის შესახებ ვოცელ ანგარიშის მოცემაზე და საერთო ხასიათის ცნობების მოწოდებით დაკმაყოფილდებიან. მათ ისეთი შთაბეჭდილება გამოიტანეს, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა არ აძლევდა მათ საშუალებას ხალხთან თავისუფლათ მისულიყვნენ. კორესპონდენტის შენიშვნაზე, რომ ეს მაინც და მაინც არ ამტკიცებს საბჭოთა მთავრობის მიერ თავისუფლების პრინციპის დაცვას—გესტმა სიცილით უპასუხა. სხვათა შორის ქალბატონმა სნოულენმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობას ყველაზე მეტად არ ესიამოვნება მისი განცხადება, რომ ბალშევიზმს არავითარი შანსები არ აქვს იმისა, რომ იგი ინგლისში გავრცელდება. ბოლშევიკებს მით უფრო არ ესიამოვნებათ ჩემი განცხადება, რომ იმათ ჩაგონეს ხალხს, თითქოს მთელ ქვეყანაზე, და განსაკუთრებით კი ბრიტანეთის მუშათა შორის, ბოლშევიზმი გიგანტურ ნაბიჯებით ვრცელდებოდეს. ქალბატონ სნოუდენმა დაუმატა, რომ იგი იმ რწმენით ბრუნდება, რომ ინგლისი ბოლშევიკებისაგან ვერაფერს ისწავლის. ინგლისი—ეს კონსერვატიული ქვეყანა—უფრო ახლოა სოციალიზმთან, ვიდრე ბოლშევიკური რუსეთი. ბოლშევიკებს ხელს უწყობს ომი. რომ ხვალ ზავი გამოცხადდეს, ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთო რეაქცია დაიწყება და საბჭოები იძულებული იქნებიან ან წავიდენ, ან ძირიანად შესცვალონ თავისი პოლიტიკა. გესტი ამოწმებს, რო ხალხი ბოლშევიკებს უკვე აღარ ენდობა. მაგრამ ამასთანავე წითელი არმია კარგათ არის მოწყობილი, და ქუჩებშიაც კარგი წესრიგია ტერორის, პოლიციისა და შპიონაჟის მეოხებით.

ანტიბოლშევიკური ელემენტები

„მატენს" კოვნოდან გამოგზავნილი გერმანულ გაზეთ „ბერლინერ ტიენდეს" კორესპონდენტის დეპეშა მოყავს: იმ სენსაციურ ხმების გამო, თითქმის კენიგსბერგის ახლოს თავს იყრიდეს ახალი ანტი-ბოლშევიკური ძალები, შეგვიძლია შემდეგი გაუწყოთ: „ამ ანტიბოლშევიკურ მოძრაობის სათავეში სდგას ყოფილი დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრი ა. გუჩკოვი, რომელმაც შესძლო ევროპაში დიდძალი თანხის შეკრება ანტიბოლშევიკურ ჯარების შესაქმნელად. ამ ჟამად ამ ჯარში 60,000 კაცი ითვლება. ჯარი უზრუნველყოფილია სამხედრო მასალითა და ტანისამოსით ეს ჯარი უმთავრესად ბერმონტის დაშლილ არმიისაგან არის შემდგარი. თანახმად შემუშავებულ გეგმისა გუჩკოვის ჯარმა ლიტვისა და ლატვიის მხრით უნდა გაილაშქროს შემოდგომამდე.

ახალი ამბები

ზეთის სამრეწველოები. სავაჭრო სამრეწველო პალატაში წარადგინეს მოხსენება ზეთის სამრეწველოების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ზეთის სამრეწველოები აქამდის უცხოეთიდან შემოტანილ ნედლ მასალას ხმარობდენ. ეხლა კი ეს სამრეწველოები მოწყვეტილია ამ წყაროს და ამიტომ საჭიროა რესპუბლიკის საზღვრებში მოვიყვანოთ ნედლი მასალა და გადავსცეთ სამრეწველოებს, რომლითაც წელიწადში რამდენიმე მილიონი ფუთი ზეთის გაკეთება შეუძლიაო.

სახურსათო საქმეები. ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებამ გადასწყვიტა პურის გაყიდვის ნება დართოს მხოლოდ ფურნეებს, საკანდიტროებს და გასტრონომიულ მაღაზიებს ეს გადწყვეტილება იმით არის გამოწვეული, რომ აქამდის ვაჭრობა შინაურ დაწესებულებებში ხდებოდა. ქალ. თვითმართველობის სასურსათო განყ. დადგენილებით გადამყიდველებს სალდათის ბაზარზე დღის 1 საათამდე ვაჭრობა ეკრძალებათ. ქალ. საბჭომ დაამტკიცა ნიხრი ხახვზე გირვანქა ხახვი უნდა გაიყიდოს 8 მან.

საფრანგეთ-საქართველოს სავაჭრო პალატა. საფრანგეთ-საქართველოს სავაჭრო პალატის წარმომადგენელი კემულარია იუწყება, რომ პალატა ამ დღეებში შეუდგება თვის მუშაობასო. პალატა მოთავსებულია ვოლგა-კამის ბანკის შენობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

მატარებელთა მიმოსვლა. განკარგულება გაიცა მატარებელთა მიმოსვლაზე ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ.

საკონტროლო აპარატი. შრომის ბირჟასთან არსდება საკონტროლო აპარატი, რომელიც თვალყურს ადევნებს მუშებისა და მოსამსახურეების სამსახურში მიღების შესახებ დადგენილ წესებს.

იანვრის 1 დან ივლისის 1-მდე შრომის ბირჟაში მისულა 27.295 უმუშევარი, წარსულ ნახევარ წლის ანგარიშთან შედარებით ბირჟის მოქმედება მეტად გაძლიერებულა. ამ ნახევარ წელში შრომის ბირჟისათვის 44.315-ით მეტ პირს მიუმართავს, ვიდრე წარსულ ნახევარში.

სასურსათო დახმარება ქალაქებს. ივლ. 21 შინ. საქმეთა სამინისტროში დ. ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი ქალაქთა შორის დამფუძნებული კრების მიერ გაღებულ 20 მილიონი მანეთის განაწილების შესახებ. თათბირს დაესწრენ მომარაგების სამინისტროს, ქალაქთა კავშ. მთავარი კომიტეტისა და ქალაქისა და საერობო თვითმართველობათა წარმომადგენლები. თათბირმა საერთოდ მოიწონა ქალაქთა კავშირის მიერ წარმოდგენილი პროექტი დახმარების განაწილებისა, მხოლოდ შიგ შეიტანა ცოტაოდენი ცვლილება, მაგალითად: ქუთაისისათვის გადასდვეს 31|2 მილიონი მანეთი, გორისათვის 1.250.000 მან., დუშეთს ახალციხეს, ონს, ზესტაფონს და ოზურგეთს მისცეს თითო მილიონი და ქ. რედუტ-კალეს 21/2 მილ. მანეთი.

გაზეთ „ვრუზიას" დახურვა. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დახურულ იქნა გაზეთი „ვრუზია" № 90 დაბეჭდილი მოწინავე წერილისთვის, რომლით შეურაცყოფა ეყენება საქართველოს რესპუბლიკასთან კეთილ მეზობლურ განწყობილებაში მყოფ საბჭოთა რუსეთის სარმომადგენელს საქართველოში.

უნივერსიტეტის სამკითხველო. უნივერსიტეტის გამგეობას მიღებული აქვს ზომები, რომ შემოდგომისათვის უნივერსიტეტის სამკითხველო გახსნას. ამ ჟამათ სამკითხველოში 100.000 ტომი წიგნი ითვლება. საზღვარ გარეთიდან სპეციალურ წიგნების მისაღებათ ზომებია მიღებული.

მუშათა ორგანიზაციები ქუთაისში. შრომის სამინისტრომ მთავრობის წინაშე შეამდგომლობა აღძრა მუშათა ორგანიზაციების საჭიროებისათვის რიჟინაშვილის უძრავ ქონების გადაცემის შესახებ.

მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას გამგზავრება. (საკ. კორესპ.) კვირას, ივლისის 18, ბორჯომში წავიდა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია. მატარებლის მოსვლისას სადგურზე საპატიო ყარაული ჩამწკრივდა. მთავრობის თავმჯდომარეს შეხვდენ: ქალაქის თავი ვ. ღლონტი, ახალციხის სამაზრო ერობის თავმჯდომარე ნიკოლაიშვილი, და დიდძალი საზოგადოება. ბორჯომიდან ნ. ჟორდანია აბასთუმანში გაემგზავრა. გზებში ადგილობრივმა მხოვრებლებმა გირლიანდებითა და ეროვნულ დროშებით შემკული თაღები მოაწყვეს. ნ. ჟორდანიას სოფლელები პურ მარილით ხვდებოდენ. ახალციხეში მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგა ადგილობრივ მცხოვრებ მუსულმანთა დელეგაცია, რომელთანაც ნ. ჟორდანიას ხანგრძლივი საუბარი ქონდა. დელეგაციამ მას მადლობა გადაუხადა, და განუცხადა, რომ საბჭოთა და საზოგადო ადგილობრივი ორგანოები მცხოვრებთა მოთხოვნილებებს ყურადღებით ეპყრობიანო. ნ. ჟორდანიას ხალხი პურ-მარილით შეხვდა. აბასთუმანში ნ. ჟორდანიას მოსვლის გამო ყველა ქუჩა და სახლი ყვავილებით და მწვანეულობით შეამკეს.

პოლიტექნიკური სასწავლებელი იღებს თხოვნებს მექანიურ, წმინდა მექანიურ და ელექტრო-მექანიურ და საამშენებლო—გზათა საამშენებლო და სახუროთ-მოძღვრო განყოფილებებზე. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს: 1) 4 კლასის ატესტატი, 2) მეტრიკული მოწმობა, 3) მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ. ტფილისი, დიდი მთავრის ქუჩა, № 70.

სავაჭრო პალატა ბათომში. ბათომში მყოფ ვაჭარ-მრეწველთა კლასის წარმომადგენლებმა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შუამდგომლობით მიმართეს ბათომში სავაჭრო პალატის გახსნის შესახებ. ამ შუამავლობას ასაბუთებენ მით, რომ სავაჭრო პალატის დაარსება ბათომში საქონლის შემოტანას და გატანას მოაწესრიგებსო. ეს შუამდგომლობა განსახილველად სათანადო სამინისტროებს გადაეცა.

სახელმწიფო უნივერსიტეტში. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობამ უნივერსიტეტში შესვლის შესახებ სავალდებულო დადგენილებანი გამოსცა. მიღებული სტუდენტები ვალდებულნი არიან შემოდგომის სემესტრის 15 ოქტომბრამდის და გაზაფხულის სემესტრის 15 თებერვლამდის შეიტანონ სწავლის ფული. ყველა სტუდენტი პირველ ნოემბრამდის ვალდებულია სალექციო წიგნაკში ჩაწეროს ის სავალდებულო საგნები, რომლებსაც იგი ისმენს, თუ ეს სავალდებულო საგნები აღნიშნულ დროამდი სალექციო წიგნაკში არ იქნება ჩაწერილი, სტუდენტს სემესტრი არ ჩაეთვლება. გამოცდების ჩაბარება შეიძლება მხოლოდ იმ საგნებში, რომელიც სალექციო წიგნაკში იქნება შეტანილი.

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ფრანგული პრესა.

(დასაწყისი არ არის მიღებული) ეს ეხება პოლონეთისა და ქალაქ დანციგის შორის დადებულ კონვენციას. ელჩების საბჭო მზათ არის დანციგი თავისუფალ ქალაქათ აღიაროს. პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის დროებით ზავის შესახებ მილიერანმა განაცხადა: მე დღეს დილით მაცნობა ინგლისის მთავრობამ, რომ საბჭოთა რუსეთმა ჩვეულებრივი თავხედობით უპასუხა ლოიდ ჯორჯის თხოვნას, რომ მას ხელი მოეწერა

დროებით ზავზე, რადგანაც რუსეთმა უარი განაცხადა დროებით ზავის ჩამოგდებაზე, ამიტომ მოკავშირე სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს ყველა შესაძლებელ საშუალებით დეხმარონ პოლონეთს.

ფინანსთა და გარეშე საქმეთა ქვეკომისიებში, რომელთაც ვერსალის ხელშეკრულების პირობების ასრულების თვალყურის დევნება აქვს დავალებული კლოტაცის თავმჯდომარეობით სამშაბათ დილით შეიკრიბენ. გადასწყდა, რომ ამ ქვეკომისიების თავმჯდომარეები სთხოვენ მილიერანს სისწრაფით მიიღოს ქვეკომისიების წევრები. თავმჯდომარეებმა იქვე შეიმუშავეს შეკითხვის ტექსტი გერმანიის განიარაღების ნახშირის და ზარალის ანაზღაურების შესახებ.

ბირჟის კურსი. ლონდონი—46,96½, ნიუიორკი—11,2½, ბელგია—106½, იტალია 70½, პრაგა—26⅔, რუმინეთი—17, შვეიცარია 213½.

კუკუზანის საბაგენტო. მარსელი ივლ. 20, ბრინჯი—160, მუხუდო—115, კარტოფილის ფქვილი—125, **ბავრი.** ივლისის ბამბა—655, აგვისტოსი—640. სექტემბრის—630. ლიონი, ივლ. 20. სევენის აბრეშუმი—230, იტალიის—240, სირიის—200, იაპონიის 210, ჩინეთის—კონტონის—185.

იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც კონსტანტინოპოლიდან „ტანმა" მიიღო, როდესაც დიდი ვეზირი კონსტანტინოპოლში დაბრუნდა, მასა და კანეტის წევრთა შორის სამეფო საბჭოს მოწვევის საკითხის შესახებ კამათი გაიმართა. დიდი ვეზირი სამეფო საბჭოს მოწვევაზე უარს ამბობდა. განათლების მინისტრი ფარედინი და ფინანსთა მინისტრი რეშადი, რომლებიც სამეფო საბჭოს დაუყონებლივ მოწვევის მომხრენი იყვნენ, კაბინეტიდან გავიდენ. ორშაბათს, დიდი ვეზირი სასახლეში წავიდა, რათა ჩაებარებია სულთანისთვის მთელი კაბინეტის გადადგომის ქაღალდი. ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ კაბინეტის შედგენას ისევ დიდ ვეზირს მიანდობენ.

პარიზის საექიმო ფაკულტეტზე საერთაშორისო ქირურგიულ საზოგადოების მეხუთე კონგრესი გაიხსნა. თავმჯდომარეობს პროფესორი კინი.

პარიზის კონსერვატორიის დირექტორმა, საფრანგეთის ცნობილმა კომპოზიტორმა გაბრიელ ფორმა, თავისი ადგილი დასტოვა, მისი ადგილი საფრანგეთის თანამედროვე მუსიკის წარმომადგენელმა ანრი რაბომ დაიკავა.

ყველა ქვეყნებიდან, რომლებიც ომში მონაწილეობას იღებდენ, რასაკვირველია შეერთებულ შტატების გამოკლებით, მხოლოდ საფრანგეთს ეყოფა თავისი პური.

„ეკო დე პარი" იუწყება, რომ საზღვაო ტრანსპორტის კომპანიას, რომელიც არ კმაყოფილდება ანტვერპენსა და შორეულ აღმოსავლეთის შორის მოწყობილ მიმოსვლით, განზრახული აქვს ახალი მიმოსვლა მოაწყოს „ინდოეთის კომერციულ ხაზის" სახელწოდებით. ამ კომპანიის გემების გზა შემდეგი იქნება: პორტ-საიდი, ადენი, კოლომბო, პანდიშერი, მადრასი და კალკუტა.

ელჩია კონფერენციამ მოუსმინა პადერსკის, რომელიც იცავდა პოლონეთის უფლებებს ტეშენზე.

მილიერანის დეკლარაციის შემდეგ, მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ, დეპუტატთა პალატამ მას ნდობა გამოუცხადა 420-ხმით 152-ის წინააღმდეგ.

დეპუტატთა პალატის სხდომაზე მილიერანმა განაცხადა: ჩვენ გვსურს დავიცვათ ყველგან საფრანგეთის ინტერესები. საფრანგეთის ინტერესებში შედის დაცვა პატარა სახელმწიფოებისა და განსაკუთრებით ისეთების, როგორც არის მაგალითათ: პოლონეთი და ჩეხო-სლოვაკია. ამ სახელმწიფოების არსებობა ჩვენთვის აუცილებელ გარანტიას წარმოადგენს.

გენერალი ვრანგელი (დამახინჯებულია).. კარგათ იბრძვის ბოლშევიკებთან. მან შეადგინა ნამდვილი საქმიანი მთავრობა, ეხმარება მცხოვრებთ და ცხოვრებაში ატარებს აგრარულ რეფორმას. მან გლეხებს დაუყო მიწა, როდესაც ეს საქმიანი მთავრობა მოინდომებს, რომ იგი იქნეს აღიარებული, როგორც ასეთი, თავის თავად ცხადია, ვრანგელს მთავარ პირობათ წარუდგენენ მოკავშირეთა წინაშე ძველი რუსეთის ვალდებულებათა აღიარებას და მაზე პასუხისმგებლობას.

სასამართლოში

19 და 20 ივლისს, სასამართლო ბრალდებულების დამცველთა სიტყვების მოსმენას უნდება.

21 ივლისს ბრალდებულნი უკანასკნელ სიტყვას ამბობენ. მაღლაკელიძე, იუშკევიჩი და ხოშტარია უდანაშაულოდ სცნობენ თავს და სრულს გამართლებას თხოულობენ. ჩაჩიბაია და შენგელაია შელავათს ითხოვენ.

ხანგრძლივ თათბირის შემდეგ ნაფიც მსაჯულთ გამოაქვთ განაჩენი, რომლითაც მაღლაკელიძეს და აზნაურავს უდანაშაოდ სცნობენ და სრულიად ამართლებენ, ხოლო დანარჩენთ დამნაშავეებად აღიარებენ და პატიმრობა გამასწორებელ რაზმში გაგზავნას უწყვეტავენ. ჩაჩიბაიას ორ წელიწად ნახევრით, ხოლო იუშკევიჩს, ხოშტარიას და შენგელაიას წელიწად-ნახევრის ვადით თითოს.

ბრალდებულნი ჩაჩიბაია, იუშკევიჩი და შენგელაია ექვს-ექვსი თვე ისხდნენ ციხეში წინასწარ გამოძიების დროს, მაგრამ მაჯულთა განაჩენით ეს ვადა სასჯელში არ ჩაეთვლებათ.

პროვინციის ცხოვრება

თელავი. ყაზარმების მიდამოებში ძლიერმა გრიგალმა გაანადგურა საავადმყოფოები და სამხედრო ლაზარეთი. მიღებულია ზომები ზარალის გამოსარკვევად და მეურნეობათა აღსადგენად.

ბათომი. მიღებული სარწმუნო ცნობების თანახმად ინგლისისა და ციმბირის მწარმოებელთა გაცხოველებული სავაჭრო დამოკიდებულება შორის არსებობს. განსაკუთრებულმა კომისიამ კოოპერატიულ კავშირთა წარმომადგენლებთან ერთად ინგლისში გაიტანა მატყლი, სელი, ხე-ტყე და სხვ. სამაგიეროდ ინგლისიდან ციმბირ.ათვის მოიტანეს მანუფაქტურა, ინსტრუმენტები და სხვა. ბათომში მყოფ აზოვისა და შავი ზღვის მეზღვაურთა საზოგადოების წარმომადგენელმა ყირიმში მყოფ მთავარ გამგეობიდან მიიღო დეპეშა იმის შესახებ, რომ მიღებულია ზომები შავ ზღვაზე სწორი მიმოსვლის აღსადგენათო. ივლისის დამლევს ფოთსა და ბათომში მოვა სევასტოპოლიდან, იალტიდან, ფეოდოსიიდან და კერჩიდან წამოსული პურითა და ქერით დატვირთული გემები. პირველად მოვა გემი „ვოზროჟდენიე". ეს ამბავი ემცნო რესპუბლიკის მთავრობას. უმთავრესად ივლის სავაჭრო ტრანსპორტები. ჩამოტანილი საქონელი საქართველოში საქონელზედვე გადაიცვლება.

განცხადებანი

ქუთაისის ოლქის სასამართლო ამით აცხადებს, რომ თანახმად ტფილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარის დადგენილებისა ამა წლის 30 ივნისიდან ქ. ფოთის ნოტარიუსი ი. ი. ვესტფალსკი, როგორც არა ქვეშევრდომი საქართველოს რესპუბლიკისა და არა მცოდნე სახელმწიფო ენისა, სამსახურიდან დათხოვნილია იმავე ივნისის პირველიდან. ამის გამო ოლქის სასამართლო იწოდებს იმათ, ვისაც სურვილი აქვს ქ. ფოთში დაიკავოს უმცროსი ნოტარიუსის ადგილი და დამაკმაყოფილებლეს ნოტ. ნაწ. დებ. მე-5 და 15 მუხ. მოთხოვნილებათა, შემოიტანონ განცხადება ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე. გამოცდა დანიშნულია ამა 27 აგვისტოს დილის 11 საათ. 776 1—1

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში მიხეილ ესტატეს ძე მორჩილაძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ვალენტინა ნიკოლოზის ასული მორჩილაძისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1917 წ. უკვალოდ დაიკარგა 1918 წ. ყველა, ვინც იცის დაკარგულ ვალენტინა ნიკოლოზის ასულის მორჩილაძის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ. საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში.

1901 3—1

დაიკარგა ტრამვაით უფასოთ მიმოსვლის ბილეთი № 215 სურათით მარტიონ ვასილის ძე ნიშნიანიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 1952 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ტრიტოტოვის შესახვევში № 4 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის გეურქ მოსესოვს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ.) 3—1

დაიკარგა პასპორტი მაგომედ გაშიმ ოღლის სახელზე, მიღებული დაღესტანის ოლქის კაზა კუმუხის სამილიციო ნაწილიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1948 3—1

დაიკარგა ტფ. რეალური სასწავლებლის დამთავრების მოწმობა პავლე მაცნიევის სახელზე, მიღებული 1905 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1950 3—1

დაიკარგა პასპორტი დანიელ გრიგოლის მელნიკოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1918 წ. გაუქმებულად. ჩაითვალოს. 951 3—1

ფაშა (იგივე ბართომიღლო) თათუზას ძე ტერ გაბრიელოვი აუქმებს, ვექილობას მიცემულს მის მიერ გეურქა(იგივე კონსტანტინე) არტემას ძე ალიხანოვისადმი, აღნიშნულის ტფ. ნოტარიუსი სტრახოვთან 1919 წ. ივლისის 23-ს რეესტრით № 5470. 1945 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი გოგოლის ქ. № 19 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ტულმინს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1939 3—1

დაიკარგა ტფ. პირველი კერძო ლომბარდის ბარათი № 86430 1000 მან. ღირებულებს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1941 3—1

დაიკარგა პასპორტი № 3528 არტემი გასპარის ძე ავეტიკოვის სახელზე, მიღებული ეკატერინოდარში სომხების ნაციონალურ საბჭოდან 1918 წ. თებერვლის 28-ს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1942 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ყიფიანის ქუჩაზე № 48 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის მენინს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1947 3—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 5 ივანობისთვეს 1920 წელს დამტკიცდა შესრულებული 2 ივანობისთვეს 1920 წელს სოხუმის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ ნაჩუქრობის სიგელი მამულზე, რომელიც ქ. სოხუმის მცხოვრებ ეკატერინე მაქსიმეს ასულს ჩავას, და რომელიც შესდგება მიწის ნაჭერის ნაწილისაგან შენობებითურთ, მდებარე ქ. სოხუმში, ეკატერინინსკის და ინჟინერნი ეხლა ნორდანიას ქუჩების კუთხეში, უბ. ლიტ. „К", № 6, ზომით 27 ოთხკ. საჟ., ფასი 2000 მან. 773 1—1

ქ. ტფილისის მე-9 სამომრიგებლო უბნის სასამართლოს ბოქაული კ. პატემკოვსკი ამით აცხადებს, რომ აგვისტოს 1-ს 1920 წ. დილის 10 საათზე „დეზერტირის ბაზარში" მე-X კამისარიატში, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გარდაცვალებული ალექსანდრე კარპის ძე კონიშევის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შესდგება: უფლება ნახევარ ხის კარავზე (ბუდკა), შეფასებ. 6000 მან., ტანისამოსისაგან, თეთრეულისაგან, ლოგინისაგან, ჭურჭლეულობისაგან და სხვ., რომელიც აწერილია დამცველი ზომების წესით და იყიდება ნიკოლოზ პეტრეს ძე პეტროვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ტფილისის მე-12 უბნ. მომრიგებელ მოსამართლისაგან 21 თებერვალს 1920 წ. თარიღით, № 289, მიცემულ აღმასრულებელ ფურცლისა 30443 მან. და 66 კაპ. კანონიერი სარგებლით. 1918 1—1

ქ. ტფილისის მე 19 სამომრიგებლო უბნის სასამართლოს ბოქაული ი. გეგელაშვილი აცხადებს. რომ აგვისტოს 14-ს 1920 წელს დილის 10 საათზე ქალ. ტფილისში მე-9 უბანში სამავოლნის ქუჩაზედ № 11 საჯარო ვაჭრობით გაყიდულ იქნება გარდაცვალებული დიანოზ კიკნაველიძის მოძრავი ქონება ფილიპე ილიას ძე კიკნაველიძის მოძრავი ქონება ფილიპე ილიას ძე კიკვაძის ვალის დასაკმაყოფილებლად 2261 მანეთ. 96 კაპ. კანონიერი სარგებლით 17 მაისიდან 1919 წ. აღმასრულებელი ფურცლით 25 ენკენისთვიდან 1919 წ. № 282. 1921 1—1

დაიკარგა „ვიბლეი-სკოტის" სისტემის რევოლვერის № 58/37 ტარების ნებართვა, მიღებული აფხაზეთის შინაგან საქმეთა კომისარისგან, მოწმობა მიღებული სოხუმის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, მოწმობა მიღებული სოხუმის თვითმართველობისგან და სხვა საჭირო საბუთები კლავდი იასონის ძე ცუცქირიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1906 3—2

ქ. ტფილისის მე-14 და მე-15 სამომრ. უბნებს სასამართლოს ბოქაული ა. ა. გეგეჭკორი ამით აცხადებს, რომ 12 აგვისტოს 1920 წ. დილის 10 საათზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ის სასამართლო ეზოში (ტურგენევის ქ. № 4) გარდაცვალებული ნატალია კოლბიკოვის მოძრავ ქონებას, რომელიც შესდგება ტანთსაცმელისაგან, ავეჯისა და სხვა და სხვა საოჯახო ნივთებისაგან, რომელი ქონება შეფასებულია 8568 მან.

1909 1—1

ცხუმ-აფხაზეთის საეპარქიო საბჭო ამით აცხადებს, რომ გუდაუთის უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის გამგემ ნიკოლოზ შერმერევიჩმა 24 ივნისს 1920 წ. შემოიტანა განცხადება, რომ მისმა ცოლმა სოფიო პეტრე კლუშინის ასულმა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1908 წლის 6 ივლისს ტფილ. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, მოშორდა მას 10 მაისს 1917 წ. და მას შემდეგ არ იცის, თუ სად იმყოფება ხსენებული სოფიო კლუშინის ასული შერმერევიჩისა, რის გამო იგი თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა-ვინც კი იცის დაკარგული სოფიო შერმერევიჩის მისამართი, ვალდებულია განუცხადოს ცხუმ-აფხაზეთის საეპარქიო საბჭოს ხსენებული პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 779 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 14 ივნისს 1920 წ. დამტკიცდა შესრულებული 22 მაისს 1920 წ. სოხუმის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქალ. სოხუმის მცხოვრებ მარიამ, პავლე დეკლეიზის ასულმა მიჰყიდა 6000 მან. ქ. სოხუმის მცხოვ. ინნა პეტრე ბერიძის ასულს მიწის ნაჭერი შენობებითურთ, მდებარე ქ. სოხუმში, ფედორენკოვის ქ. კუთხეში, კვ. ლიტ. „Ц" № 5, ზომით 379,4 ოთხკ. საჟ.

გადახდილია: სიმტკიცის 240 მან. მთავარი ამონაწერი 60 ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 772 1—1

დაიკარგა აღმასრულებელი ფურცელი № 22177, მიღებული ტფ. ოლქის სასამართლოდან 1911 წელს და აღნიშნული ტფ. ნოტარიალური არქივში რეესტრით № 3265-1911 წ. ნიკოლოზ ბერას ძე ხრიმიანცის მამულზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1902 3—2

დაიკარგა ტფ. წმ. ნინოს სასწავლებლის დამთავრების ატესტატი შუშანიკა მიხეილის ასული ალხაზოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1899 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მიხეილ ალექსანდრეს ძე შიროკოვის სახელზე, მიღებული სოხუმის კომისარიატიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—2

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი, კონსტანტინე ალექსის ძე ჭელიძის სახელზე, მიღებული სოფ. ბაჯის (რაჭა) წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლისაგან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1938 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 4699 რტემ კარაპეტის ძე აივაზიანცის სახელზე, მიღებული სომხების კონსულისაგან ტფილისში და მეაბანოეთა პროფესიონალურ კავშირის წევრობის წიგნაკი. გაუქმებოლათ ჩაითვალოს. 1913 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 1079, მიღებული ქუთაისის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან გიორგი ფილიპეს ძე მელივას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1872 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი გრიბოედოვის ტუპიკში № 6 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ფირალოვის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1919 3—3

დაიკარგა პასპორტი № 601 აშერ ჯანაშვილის სახელზე, მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1914 3—3

დაიკარგა მოწმობა № 5456 მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან საექიმო ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტის დავით ვლადიმერის ძე კაპანაძის სახელობაზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1924 3—2

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.